აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრის,

№30 საარჩევნო ოლქის მაჟორიტარი დეპუტატის ფრიდონ ფუტკარაძის

2023 წლის საქმიანობის

ა ნ გ ა რ ი შ ი

2023 წელი

ანგარიშში ასახულია 2023 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრის, №30 საარჩევნო ოლქის მაჟორიტარი დეპუტატის ფრიდონ ფუტკარაძის საქმიანობის, უფლება-მოვალეობებით გათვალისწინებული აქტივობების ინფორმაციული ნუსხა და განხორციელებული მნიშვნელოვანი ღონისძიებების ჩამონათვალი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მე-16 მუხლის პირველი პუნქტის გათვალისწინებით, მოქალაქეებთან მუშაობის ორგანიზების, შესაბამის საჯარო დაწესებულებებთან კომუნიკაციის და უფლებამოსილების ფარგლებში ადგილობრივი საკითხების გადაწყვეტაში მონაწილეობის მიზნით, მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით არჩეულ უმაღლესი საჭოს წევრებს (შემდგომში - უმაღლესი საბჭოს მაჟორიტარი წევრი) უფლება აქვთ ჰყავდეთ თავიანთი წარმომადგენლები.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად და უმაღლესი საბჭოს დადგენილების საფუძველზე, ამომრჩევლებთან ურთიერთობის გაუმჯობესების მიზნით, №30 მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში არჩეული უმაღლესი საბჭოს მაჟორიტარი წევრის წარდგინების საფუძველზე, ადმინისტრაციული ხელშეკრულებით ფრიდონ ფუტკარაძეს (ხულო, შუახევი, ქედა, ხელვაჩაური) ჰყავს ოთხი წარმომადგენელი.

საანგარიშო პერიოდში ფრიდონ ფუტკარაძემ განიხილა აჭარის ავტონომიური რესუბლიკის უმაღლეს საბჭოში შემოსული 37 მოქალაქის განცხადება. უმაღლესი საბჭოს ჩართულობის ცეტრში მიიღო 107 მოქალაქე. ასევე, ჰქონდა შეხვედრები მოქალაქეებთან №30 მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქის ბიუროებში (ხულო, შუახევი, ქედა, ხელვაჩაური). მოქალაქეების განცხადებებთან და მიღების დროს გამოვლენილ პრობლემებთან დაკავშირებით, მოახდინა შესაბამისი რეაგირება.

სადეპუტატო შეკითხვები

საზედამხედველო და საკონტროლო უფლებამოსილებათა განხორციელების პროცესში მჭიდროდ თანამშრომლობის მიზნით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროებთან, სხვა სახელმწიფო სტრუქტურებთან და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან, კომიტეტის თავმჯდომარის რანგში, ფრიდონ ფუტკარაძის მიერ გაიგზავნა ექვსი სადეპუტატო შეკითხვა, რომლის პასუხები შემოვიდა რეგლამენტით განსაზღვრულ დროში.

თემატური მოკვლევები

საანგარიშო პერიოდში დაიწყო და დასრულების პროცესშია ორი თემატური მოკვლევა: ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ტყის არსებული მდგომარეობის შესახებ'' და ,,დაცული ტერიტორიების (ქობულეთი, კინტრიში, მტირალა, მაჭახელა) მიმდებარე დასახლებებში ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებების შესწავლა-განხილვა და მათი შემდგომი მოგვარების მიზნით ადგილობრივ ორგანოებთან თანამშრომლობა", რომელებშიც ჩართულია სამეცნიერო საზოგადოება, არასამთავრობო სექტორი, სახელმწიფო სტრუქტურები და ადგილობრივი ორგანოები.

ფრიდონ ფუტკარაძე მონაწილეობდა
სხვადასხვა სახის ღონისძიებებში

კერძოდ: №30 საარჩევნო ოლქი, 4 მუნიციპალიტეტი
(ხელვაური, ქედა, შუახევი, ხულო)

ხელვაჩაური

1. 2023 წლის 16 თებერვალს, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში, როგორც ცენტრალური, ასევე ადმინისტრაციულ ერთეულებთან დამაკავშირებელი საავტომობილო გზების გაწმენდითი სამუშაოების მიმდინარეობას გაეცნო.

2. 2023 წლის 01 მარტს, სალიბაურის N1 საჯარო სკოლაში, ხელვაჩაურის რესურსცენტრის ორგანიზებით, „ისტორიის კლუბის" ფარგლებში გამართულ კონფერენციას თემაზე: „საქართველო XI-XII საუკუნეში" დაესწრო.

3. 2023 წლის 02 მარტს, ხელვაჩაურის კულტურის ცენტრში, დედისა და ქალთა დღისადმი მიძღვნილ საზეიმო ღონისძიებას დაესწრო.

4. 2023 წლის 23 მარტს, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში სხვადასხვა ლოკაციაზე მიმდინარე და დასრულებული ინფრასტრუქტურული სამუშაოები დაათვალიერა.

5. 2023 წლის 21 აპრილს, ხელვაჩაურის რესურსცენტრის ინიციატივით გამართულ, ჩიქუნეთის საჯარო სკოლაში, მაჭახლის ხეობის საჯარო სკოლების მოსწავლეთა შეხვედრას დაესწრო - თემაზე „მოსწავლეთა და მოსწავლეთა თვითმმართველობის უფლებები და მოვალეობები სასკოლო საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე".

6. 2023 წლის 24 აპრილს, მაჭახელას ეროვნული პარკის მხარდაჭერითა და ორგანიზებით, დედამიწის დღესთან დაკავშირებით, ქედქედის, აჭარისაღმართის, ჩიქუნეთისა და ჩხუტუნეთის საჯარო სკოლის მოსწავლეების მიერ წარდგენილ პრეზენტაციებს დაესწრო.

7. 2023 წლის 25 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში, მაჭახლის ხეობის სოფელ ცხემლარაში, რესურსცენტრის ორგანიზებით, მოსწავლეთა მე-7 მუნიციპალურ კონფერენციას ისტორიაში თემაზე: „საქართველოს ისტორიის ფურცლები“ დაესწრო.

8. 2023 წლის 26 მაისს, შარაბიძეების ადმინისტრაციულ ერთეულში, N1 საბავშვო ბაღის გახსნის საზეიმო ცერემონიას დაესწრო.

9. 2023 წლის 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე დაესწრო.

10. 2023 წლის 2 ივნისს, მაჭახელას ხეობაში, „ეთნოსოფლის“ ვიზიტორთა პირველი ცენტრის გახსნას დაესწრო.

11. 2023 წლის 20 ივნისს, შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს სხდომას დაესწრო.

12. 2023 წლის 28 ივნისს, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად, წარმატებული მოსწავლეების დაჯილდოების ღონისძიებას დაესწრო.

13. 2023 წლის 29 ივნისს, ორთაბათუმის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელ მასაურაში მიმდინარე ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს გაეცნო.

14. 2023 წლის 30 ივნისს, სოფელ წინსვლაში (ჩელტა) დაგეგმილ საგზაო ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს გაეცნო.

15. 2023 წლის 11 სექტემბერს, თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად, მუნიციპალიტეტში მცხოვრები წარმატებული სტუდენტების დაჯილდოებაში მიიღო მონაწილეობა.

16. 2023 წლის 22 სექტემბერს, მუნიციპალიტეტის საიუბილეო 55-ე წლისთავისადმი მიძღვნილ სახალხო ზეიმს დაესწრო.

17. 2023 წლის 04 ოქტომბერს, უხვი ნალექის შედეგად, მეწყრული პროცესების სალიკვიდაციო სამუშაოების მიმდინარეობის პროცესი დაათვალიერა.

18. 2023 წლის 04 ნოემბერს, მუნიციპალიტეტის აქტიური და ღვაწლმოსილი პედაგოგების დაჯილდოებას დაესწრო დამასწავლებლებს პროფესიული დღე მიულოცა.

ქედა

1. 2023 წლის 1 იანვარს, კომიტეტის თავმჯდომარის რანგში ესწრებოდა აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის მინისტრის ზაზა შავაძის მიერ ქედის მუნიციპალიტეტში, 2023 წელს დაგეგმილი პროგრამებისა და სიახლეების პრეზენტაციას.

2. 2023 წლის 22 მარტს, მახუნცეთის ადმინისტრაცილ ერთეულში, სოფელ ქოსოფელის, ქვედა და ზედა მახუნცეთის მოსახლეობასთან შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა.

3. 2023 წლის 11 აპრილს, ქედის მუნიციპალიტეტში დაესწრო, პარლამენტის კულტურის კომიტეტის გასვლით სხდომაზე.

4. 2023 წლის 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე დაესწრო.

5. 2023 წლის 01 ივნისს, დაესწრო ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ საზეიმო ღონისძიებას.

6. 2023 წლის 06 ივლისს, ქედის მინიციპალიტეტში, ადმინისტრაციული ერთეულების წარმომადგენლებთან ერთად გამართულ შეხვედრას დაესწრო.

7. 2023 წლის 19 ნოემბერს, ქედის მინიციპალიტეტის, სოფელ ორცვაში ჯამბულ აბულაძის ოჯახში გამართულ რთველში მიიღო მონაწილეობა.

8. 2023 წლის 19 ნოემბერს, ქედის მუნიციპალიტეტში სახალხო დღესასწაულებს - „შემოდგომა ქედაში“ და ,,ქედის ღვინის ფესტივალს“ დაესწრო.

9. 2023 წლის 26 დეკემბერს, ქედის მინიციპალიტეტში, ადმინისტრაციული ერთეულების წარმომადგენლებთან ერთად წლის ბოლო შემაჯამებელ შეხვედრას დაესწრო.

10. 2023 წლის 22 დეკემბერს, როგორც აჭარის ა/რ უმაღლესი საბჭოს მაჟორიტარი წევრი, ქედის მუნიციპალიტეტში, უმაღლესი საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის მიერ გამართულ გასვლით სხდომას დაესწრო.

11. 2023 წლის 22 დეკემბერს, ქედის მუნიციპალიტეტში, დაესწრო საახალწლო ზეიმს.

შუახევი

1. 2023 წლის 7 იანვარს, შუახევის მუნიციპალიტეტში შობის ბრწყინვალე დღესასწაულზე, ტრადიციული ალილოს საზეიმო მსვლელობაში სასულიერო პირებთან, მრევლთან და ადგილობრივ ხელისუფლებასთან ერთად მიიღო მონაწილეობა.

2. 2023 წლის 25 იანვარს, შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ხაბელაშვილებში საოჯახო სასტუმროს გახსნას დაესწრო.

3. 2023 წლის 03 თებერვალს სოფლის მეურნეობაში დაგეგმილი პროექტების პრეზენტაციაში მიიღო მონაწილეობა.

4. 2023 წლის 17 თებერვალს, დაათვალიერა თოვლისაგან გზების გაწმენდითი სამუშაოები.

5. 2023 წლის 03 მარტს, დედის დღესთან დაკავშირებით, შეხვედრა ჰქონდა გმირ დედებთან.

6. 2023 წლის 07 მარტს, სოფელ ბრილში დაესწრო სათხილამურო ტურნირს.

7. 2023 წლის 09 აპრილს, მონაწილეობდა 9 აპრილისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში.

8. 2023 წლის 19 აპრილს, დაათვალიერა ხაბელაშვილებისა და ხიჭაურის სასმელი წყლის მშენებლობა.

9. 2023 წლის 21 აპრილს, შუახევის მუნიციპალიტეტში, სოფელ ჭვანას მოსახლეობას საღვთო დღესასწაული - რამაზან ბაირამი მიულოცა.

10. 2023 წლის 28 აპრილს, ხიჭაური-ნაღვარევის გზის მშენებლობა დაათვალიერა.

11. 2023 წლის 30 აპრილს, ბიბლიოთეკარის დღესთან დაკავშირებით შეხვედრა ჰქონდა შუახევის საჯარო ბიბლიოთეკაში.

12. 2023 წლის 06 მაისს, შუახევის მუნიციპალიტეტში გამართულ ტრადიციულ დღესასწაულს ,,მარეთობას“ დაესწრო.

13. 2023 წლის 16 მაისს, ზურაბ გორგილაძის და ფრიდონ ხალვაშის ხსოვნის საღამოს დაესწრო.

14. 2023 წლის 21 მაისს, მთა ჩირუხში დაგეგმილი ზიპლაინის პროექტის განხილვას დაესწრო.

15. 2023 წლის 29 მაისს, შეხვდა შუახევის პედაგოგებს.

16. 2023 წლის 06 ივნისს, დაათვალიერა სოფელ ინწკირვეთში სოფლის ცენტრის მოწყობის სამუშაოები.

17. 2023 წლის 08 ივნისს, ხულოსა და შუახევის მუნიციპალიტეტების წარჩინებული მოსწავლეების დაჯილდოებას დაესწრო.

18. 2023 წლის 13 ივნისს, შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩანჩხალოში ასფალტობეტონის საფარის მოწყობის სამუშაოებს გაეცნო.

19. 2023 წლის 13 ივნისს, ჭვანის საჯარო სკოლაში დაესწო ღვაწლმოსილი პედაგოგების დაჯილდოებას.

20. 2023 წლის 28 ივნისს, მუსლიმ მრევლს მიულოცა ყურბან ბაირამი.

21. 2023 წლის 29 ივნისს, მთა ჩირუხში შეხვდა მოსახლეობას.

22. 2023 წლის 07 ივლისს, გაეცნო ტურისტული ინფრასტრუქტურის (მოწყობის) მიმდინარეობას.

23. 2023 წლის 28 აგვისტოს, მუსლიმ მრევლს მიულოცა ყურბან ბაირამი.

24. 2023 წლის 29 აგვისტოს, დაათვალიერა სოფელ ჩანჩხალოს საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

25. 2023 წლის 13 სექტემბერს, გაეცნო ხიდებისა და დამცავი ნაგებობების მშენებლობას.

26. 2023 წლის 07 ოქტომბერს, შეხვდა შუახევის ახალგაზრდობას.

27. 2023 წლის 22 ოქტომბერს, შუახევის მუნიციპალიტეტში ტრადიციულს დღესასწაულს „შუახევობა“-ს დაესწრო.

28. 2023 წლის 03 ნოემბერს, მასწავლებლის დღესთან დაკავშირებით შეხვედრა ჰქონდა შუახევის პედაგოგებთან.

29. 2023 წლის 06 დეკემბერს, შეხვედრა ჰქონდა პედაგოგებთან დღვანის საჯარო სკოლაში.

30. 2023 წლის 11 დეკემბერს, მთის დღესთან დაკავშირებით შეხვდა მოსახლეობას.

31. 2023 წლის 20 დეკემბერს, დაესწრო საახალწლო ზეიმს.

32. 2023 წლის 20 დეკემბერს, შეხვდა შუახევის მოსახლეობას.

33. 2023 წლის 21 დეკემბერს, შუახევის კულტურის ცენტრში დაესწრო წლის შემაჯამებელ ღონისძიებას.

ხულო

1. 2023 წლის 03 თებერვალს, ხულოს მუნიციპალიტეტში აჭარის სოფლის მეურნეობის სფეროში დაგეგმილი პროექტების პრეზენტაციას დაესწრო.

2. 2023 წლის 18 თებერვალს, დიდთოვლობის დროს გზების გაწმენდითი სამუშაოები დაათვალიერა.

3. 2023 წლის 03 მარტს, დედისა და ქალთა დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებას დაესწრო.

4. 2023 წლის 05 აპრილს, დიდთოვლობის დროს მეწყრული პროცესებისას მაღალი პასუხისმგებლობით შესრულებული სამუშაოების გამო, აჭარის საავტომობილო გზების დეპარტამენტის, ხულოს რაიონული განყოფილების თანამშრომლების დაჯილდოების ღონისძიებაში მიიღო მონაწილეობა.

5. 2023 წლის 09 აპრილს, ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად, 9 აპრილის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში მიიღო მონაწილეობა.

6. 2023 წლის 19 აპრილს, წაბლანას ტრაგედიიდან 34-ე წლისთავზე, სტიქიის შედეგად დაღუპულთა ხსოვნისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში მიიღო მონაწილეობა.

7. 2023 წლის 27 აპრილს, ხულოს დრამატულ თეატრში მუნიციპალიტეტში მცხოვრები ღვაწლმოსილი ადამიანებისადმი მიძღვნილ ღონისძიება - „ამაგდარი“-ს დაესწრო.

8. 2023 წლის 16 მაისს, ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ უჩხოს საჯარო სკოლის ფრენბურთის გუნდის, გამარჯვებულ სპორტსმენებს შეხვდა.

9. 2023 წლის 25 მაისს, არქივის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილ ღონისძიებას დაესწრო.

10. 2023 წლის 7 ივნისს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროგრამის „ჩემი პირველი კომპიუტერი“ ფარგლებში, ხულოს საჯარო სკოლის წარჩინებულ მოსწავლეებზე კომპიუტერების გადაცემის ღონისძიებაში მიიღო მონაწილეობა.

11. 2023 წლის 1 ივლისს, ანსამბლ „ბერმუხას“ უხუცესი წევრის, მუხამედ ირემაძის 100 წლისადმი მიძღვნილ საიუბილეო საღამოს დაესწრო.

12. 2023 წლის 16 ივლისს, კურორტ ბეშუმში ზაფხულის ტურისტული სეზონის გახსნას დაესწრო.

13. 2023 წლის 7 სექტემბერს, ხულოს დრამატულ თეატრში ლიტერატურული ფესტივალის „ზე-კართან“ საზეიმო დახურვას დაესწრო.

14. 2023 წლის 25 სექტემბერს, სოფელ ღორჯომში გამართულ ფესტივალს „შემოდგომა ღორჯომში“ დაესწრო.

15. 2023 წლის 30 სექტემბერს, სოფელ ხიხაძირში ტრადიციულ სახალხო დღესასწაულს „ტბელობას“ დაესწრო.

16. 2023 წლის 27 ოქტომბერს, მასწავლებლის ეროვნული დღისადმი მიძღვნილ საღამოს დაესწრო.